დადგენილება:**დ-27. 27233623**
თარიღი:**28/12/2023**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 25
28 დეკემბერი 2023 წ.
ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 24/11/2017; 010250020.35.163.016355).

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებით „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებული თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**3. მერიის სამსახურებია:**

3.1. ადმინისტრაციული სამსახური, რომელიც მოიცავს:

ა) მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას;

ბ) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას;

გ) მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებას.

3.2. შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც მოიცავს:

ა) შიდა აუდიტის განყოფილებას;

ბ) რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილებას.

3.3. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც მოიცავს:

ა) ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას;

ბ) სოციალურ საკითხთა განყოფილებას;

გ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას.

3.4. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, რომელიც მოიცავს:

ა) კულტურისა და განათლების განყოფილებას;

ბ) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებას.

3.5. ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური, რომელიც მოიცავს:

ა) ქონების მართვის განყოფილებას;

ბ) შესყიდვების განყოფილებას;

გ) ტურიზმის განვითარების განყოფილებას;

დ) საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილებას.

3.6. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომელიც მოიცავს:

ა) საბიუჯეტო განყოფილებას;

ბ) სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილებას.

3.7. იურიდიული სამსახური, რომელიც მოიცავს:

ა) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას;

ბ) ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილებას;

გ) ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების განყოფილებას.

3.8. ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური, რომელიც მოიცავს:

ა) ინფრასტრუქტურის განყოფილებას;

ბ) სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილებას;

გ) ძეგლთა დაცვის განყოფილებას.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 01 იანვრიდან.

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი